ეროვნული ბიბლიოთეკა


# სასოფლო გაზეთი

**გაზეთის ფასი**

| | გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელად. |
|---|---|---|
| ერთი წლისა | — 4 მ. | — 3 მ. — |
| ნახევარი წლით | — 3 მ. | — 2 მ. — |
| სამი თვისა | — 1 მ. | — 1 მ. — |

**მეოთხე წელიწადი**

გამოდის თვეში ორჯერ

**ხელის მოწერა მიიღება:**

ტფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის სტამბაში, სანის ქუჩაზე ამატუნის სახლებში.

თფილისის გარე მცხოვრებთათვის ადრესი:

*Въ Тифлисъ, въ контору редакціи СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ: при Типографіи Меликкова.*

№ 14, 1873 წ. — IV — № 14, 1873 წ.


## შინაარსი:

მმართებლობის განკარგულება. ახსნა საბანკო დებულებისა. ამბები. სამეურნეო ნაწილი: (ბოსტნის გაკეთება) საქიმო ნაწილი (შინაური წამლობა. ჭინჭარი). სამეცნიერო ნაწილი (ჭაერში რა ხდება ან რა უნდა იცოდეს მხნელ მთესველმა. წყალი) განცხადებანი.

---

მმართებლობის ბძანებით ძველი ასიგნაციები კიდევ შეიძლება აპრილის სამამდინ მიიღონ ხაზინებში დასახურდავებლათ და ქალაქში სახელმწიფო ბანკში. ამისა გამო ვისაც სოფლებში ძველი ასიგნაციები დარჩენიათ, მალე ეცადნონ ახლოს ქალაქებში ჩაიტანონ, რომ ახალ ასიგნაციებზე გასცვალონ. სამ აპრილში და ამის შემდეგ აღარ მიიღებენ და პატრონი დაჰკარგავს.

---

## ახსნა საბანკო დებულებისა *)

### გასესხება

მუხლი ორმოცდა მეთერთმეტე და ორმოცდა მეთორმეტე § 51, 52. როდესაც ამ გასესხებაზე ვლაპარაკობთ, ისე ლაპარაკი არ შეიძლება, როგორც დებულებაში ერთი მუხლი მეორეს მოჰყვება; ამიტომ რომ ახსნა არეულ დარეული გამოვიდოდა, გასესხების წესსა გარკვევით ვერ აგვიხსნიდა. ამისგამოთ დებულების მუხლების რიგზე თავის ადგილს ავხსნით და აქ საერთო ახსნას გასესხების წესისას წინათვე ვიწყობთ.

საამხანაგო ბანკისაგან სესხის გაცემა ორგვარის სხვა და სხვა წესით შეიძლება. ერთი წესი ის არის, რომ სესხი იმდენათ მიეცეს ამხანაგსა, რამდენიც შეძლება აქვს; თუ ეს წესი მიიღო ამხანაგობამ, ამხანაგის შეძლების შეტყობა ან სამართველომ უნდა იკისროს ან საკუთარი კაცები უნდა დანიშნონ ყოველ სესხის გაცემის დროს, რომ კარგა შეიტყონ, ვის რა შეძლება აქვს და ვისთვის რამდენის ფულის მიცემა შეიძლება. სხვა და სხვა ქონების და შეძლების პატრონისათვის სხვა და სხვა ზომის ფულის მიცემა იქნება. ამავე წესის თანახმათ ის მოხდება, რომ ვისაც ქონება არა აქვს, ფული გირაოთი უნდა გაიტანოს.

მეორე წესი ფულის გასესხებისა ისეთია, რომ ყველა ამხანაგს გინდ შეძლებული იყოს, გინდ უქონელი, ერთგვარი დებულებით დანიშნულის ფულის ზომა შეუძლიათ გამოიტანონ, ეს ფულის გაცემა დებულებაში დანიშნულია ყველასათვის ერთ გვარათ და თუ ბანკის საზინაში საკმაო ფულია ბანკის მართველობას უფლება არა აქვს ამხანაგს სესხზე უარი უთხრას.

ეს ორი წესი სრულებით სხვა და სხვა არის; დებულებას რომ ადგენდნენ ამ ორ წესში ან ერთი უნდა მიიღონ, ან მეორე. ამ ამორჩევაზე ჰკიდია მთელი გასესხების წესი, თუ რა რიგათ უნდა ეძლეოდეთ ამხანაგებს ფული; ამავე წესებზე ჰკიდია ამხანაგობის საქმეების მართვაცა; რასაკვირველია ამ ერთ-ერთი წესის მიღებისათვის ყველა სარგებლობა, სიადვილე და მომავალი ვითარება თითოეული წესისა ჯერ კარგად უნდა აწონონ და ისე გადაწყვიტონ.

პირველი წესი ერთის შეხედვით უფრო სამართლიან წესსა ჰგავს და სხვა დიდ ბანკებში მართლათაც ეს ერთი წესია მიღებული. მაგრამ ამას აი რამდენი რამ უნდა. პირველათ ამორჩეული კაცები უნდა ჰყავნდეს ბანკსა სარჩევად, რომ ნამდვილათ მიენდოს იმათ გადაწყვეტილებას, რომ ამა და ამ ფულის მსურველს მართლა შეუძლია ვალის გადახდაო. მეორეთაც ეს არის, რომ ამ გვარი წესით ბანკი მარტო შეძლებულ კაცებთან

*) თავი ნახე პირველის ნომრიდგან.

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწ... ბიბლიოთეკა

დაიჭერს საქმეს. ვისაც საიმისოთ ცოტაოდე შეძლება არ ექნება და იმისი შეძლება მარტო ჯაფაა და კარგი ხასიათი, იმისთანა კაცი ამ წესით ფულს ვერ იშოვნის. ამ გვარათ ამხანაგობა, გლეხების ამხანაგობა კი არ იქნება, შეძლებული კაცების ამხანაგობა გახდება. ვისაც ქონება არა აქვს, ამისთანა ამხანაგობაში ფულის მიღებისათვის ერთი ღონე დარჩება, რომ გირაო შეიტანონ. მოდი ღარიბო გლეხ-კაცო და გირაო იშოვნე. აბა ახლა დავფიქრდეთ, საღ მოვედით? ჯერ რა გვინდოდა და ახლა რა შეგვემთხვა? პირველათ სასოფლო საბანკო ამხანაგობის აზრი ის არის, რომ შეუძლებელ სოფლის ხალხს ფული უშოვნოს. როდესაც ფულის მიცემაზე ბანკი გლეხების შეძლებას უყურებს, სხვა საქმე დაემართება და შემწეობის მაგიერათ გირაოს მოსთხოვს. აქედამ ცხადათა სჩანს, რომ პირველი წესი არ ვარგებულა და ამხანაგობის პირობასა შლის. ეჭვი არ არის, რომ თუ შეძლების მიხედვით გასცენ ფული, ყოველთვის იმას უფრო გაასესხებენ, ვისაც მეტი შეძლება აქვს. ბევრი ამხანაგები, უფრო მომატებული წილი ფულს ვერ გაიტანს, ან ძალიან ცოტას გაიტანს, რადგანაც შეუძლებელია; პასუხის გებაში კი ყველა იქნება. აბა რა სამართალია! ამას ის მოჰყვება, რომ უფრო დიდი წილი ამხანაგებისა, ბანკს თავს დაანებებს და ამხანაგობისაგან გავა.

მეორეს მხრითაც გლეხს თუნდა ცოტაოდე ქონება ჰქონდეს, ისეთი ქონებაა, რომ გირაოთ შეტანაც არ შეიძლება და თითონ ამხანაგობასაც გაუძნელდება იმისი მიღება: პური, ღვინო, სარ-კამბეჩი გირაოთ ან როგორ უნდა შეიტანოს პატრონმა რომ არ წახდეს, და ან ამღებმა სად უნდა შეინახოს. ამას სომ დიდი ამბრები და ოთახები მოუნდება; ერთის სიტყვით დიდი ხარჯი ექნება შენახვაზე.

რა აზრიც სასოფლო ბანკის ამხანაგობასა აქვს, იმ აზრის ასრულებისათვის უეჭველათ მეორე წესის მიღებაა საჭირო. ეს სომ კარგა უნდა დავიხსომოთ რომ საბანკო ამხანაგობაში ამხანაგები შეძლების მიხედვით კი არ შეჰყავთ და ირჩევენ, მარტო კარგის ხასიათის და ზნეობის დაფასებით ირჩევენ და ამიტომ შეძლების მიხედვით ფულის მიცემა ამორჩევის წინააღმდეგი საქმე იქნებოდა; თუ კი ამხანაგათ ამომირჩიეთ და კაიკაცობით ღირსი გგონივარ თქვენი ამხანაგობისა, ჩემ ქონებას რაღათ უყურებთ, ჩემ კარგ კაცობას უყურეთ და მასესხეთ ფული. თუ სანდო კაცათ არ გეგონეთ, რატო თავიდამვე ჩემ ქონებას არ უყურებდით, რაღათ მირჩევდით და ამხანაგობაში შეგყავდით. ამაებს გარდა პირველი წესი ასრულებითაც ძნელი იქნებოდა, ამიტომ რომ მართალი და ნამდვილი დაფასება ამხანაგების ქონებისა თავის დღეში არ მოხდება, რადგანაც გლეხები ერთ პატარა სოფელში ერთმანეთთან ახლოს არიან და ზოგჯერ ერთმანეთის მიდგომა და პირფერობა მოხდებოდა; აქედგან ბევრი ბაასი, ჯიბრი, ქიშპობა და უკმაყოფილობა გამოვიდოდა და ამხანაგობის საქმე მშვიდათ არ წავიდოდა. ამაების მიზეზით მეორე წესით გასესხება ნამდვილ საამხანაგო საქმეს შეეფერება და ნამდვილი სათემო სამსახურის სახელი აქვს, რადგანაც ბევრისათვის არის და არა ცოტა შეძლებულ კაცებისთვის. ამისთანავე ეს წესი იმითაც არის კარგი, რომ საამხანაგო ბანკები როცა კარგა გაკეთდებიან, ყოველთვის ცდილობენ რომ დიდ ბანკებს დაემგზავსონ და შეძლებულ კაცების დახმარებას შეეწივნენ; ეს პირველ წესთან შეერთებულია. მეორე წესი ამ საფრხისაგან დაიფარავს ამხანაგობას და ყოველთვის იმას მოაგონებს, რომ ამხანაგობა და ბანკი შეუძლებელ კაცებისთვის არის დაწესებული.

აქ რაკი ვაჩვენეთ, რომ მეორე წესი პირველსა სჯობია, რადგანაც საამხანაგო ბანკში მარტო იმ წესის მიღება შეიძლება,—ახლა უნდა გავშინჯოთ იმისი სიკეთე და სინამდვილე, რომლითაც პირველის წესისაგან განირჩევა.

პირველი წესით გასესხებაში თავდებობა და უზრუნველობა ამხანაგების ქონებაზე და შეძლებაზე ჰკიდია; მეორე წესით გასესხებაში კი თავდებობა თითოეულის ამხანაგის თვისება და სიკეთეა, რომლისგამოთაც ამხანაგების საერთო კრებას ამოურჩევია და მიულია სანდო კაცათა. პირველი წესით გასესხებასთან ფულის ზომა ისე დიდი იქნება, რამდენიც დიდი ზომისა ამხანაგის ქონება იქნება და მხოლოთ ერთი დაბრკოლება მაშინ გამოჩნდება, როცა ბანკის საზინაში ფული ნაკლებათ იქნება;—სწორეთ აგრეთვე მეორე წესის გასესხებასთან შეძლების გაურჩევლათ ყველა ამხანაგებისათვის რომ არის დაწესებული, უეჭველათ ფულის გაცემის ზომას თავისი გამორკვეულათ საზღვარი უნდა ჰქონდეს. ეს საზღვარი, ეს ზომა სასესხებელი ფულისა ისეთი უნდა იყოს, რომ ერთი ორი შეძლებული კაცის საჭიროებას კი არ უნდა უყურებდეს, იმას უნდა უყურებდეს, რომ რომელსამე სოფელში უფრო ბევრს რამდენი საჭიროება აქვს, რა ზომის სესხი დასჭირდება. ამ სესხის ზომის ცოდნა ძნელი არ არის, ამიტომ რომ ჩვენში თითქმის ყველგან ერთგვარი მუშაობაა და ყველგან ერთგვარი აღებ-მიცემაა, ამისგამო ყველგან ფულის საჭიროებაც ერთგვარია. სადაც ხნა თესვაა, გლეხებისათვის ვალი იმისთვის არის საჭირო, რომ გაზაფხულზე სათესლე იყიდოს, ან იმისთვის, რომ სანამ მოსავლის გაყიდვის მარჯვე დრო დადგებოდეს, მანამდის მოიცადოს და ზოგიერთი ხარჯი გადაიხადოს; გლეხს აგრეთვე სჭირდება ფული რომ ცხენი, სარ-კამბეჩი ან ზამთრის მუშაობისათვის იარაღი, ან სხვა რამ იყიდოს. სადაც ვენახებია, ან ტყეა, ღვინის გაყიდვის წინათ და ტყის ჩატანის წინათ ფული მოუნდებათ ზოგიერთის თადარიგისათვის. ერთი სიტყვით ყველგან შეიძლება, რომ ერთი რამ ზომა შევიტყოთ, გლეხს რამდენი ფული დასჭირდება ყველგან ამისთანა საქმეებში.

აქ ერთი რამ ცხადია, რომ სადაც მარტო ხნა თესვაა, იქ უფრო ცოტა სესხი დასჭირდებათ, ვინემც სადაც სხვა საქმეებსაც მისდევენ და აღებ-მიცემა სხვა და სხვა გვარია. აი ვთქვათ სადაც ღვინოც მოჰყავთ, პურიცა და ცხვრის ფარაცა ჰყავთ. რუსეთში სადაც მარტო ხნა-თესვაზე არიან გლეხები, ხუთი თუმანი ვალი საკმაოთა ხდება გლეხისათვის. არამც თუ საკმაოა, საბანკო ამხანაგობაში, რუსეთში გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ გლეხები ორ თუმანზე მეტს ვალს არც კი იღებენ თავის ბანკისაგან. ჩვენში საქართველოშიაც ამისი მაგალითი რომ ავიღოთ, ოთხ-ხუთ თუმანზე მეტი არა გვგონია რომ საჭირო იყოს.

სადაც ხნა-თესვას გარდა გლეხებმა სხვა და სხვა

საქმეებსაც მისდევენ, იმისთანა ადგილებისათვის სესხის ზომის დადება ძალიან ძნელია. ამიტომ რომ ბევრი სხვა და სხვა საქმებია და ყველა საკუთრად უნდა ვიცოდეთ სად რამდენი ფული სჭირდებათ. მაინც და მაინც ეს კი შეიძლება ვთქვათ, რომ ათ თუმანზე მეტის გაცემა არ უნდა იყოს საჭირო.

რადგანაც წინათვე გასესხებულის ფულის ზომა ძნელი დასანიშნელია, დებულებაში იმიტომ მარტო ის არის მოხსენებული, რომ სასესხებელი ფულის ზომა სამით უნდა მეტი იყოს ამხანაგის შეტანილ ან შესატან წილზედაო. ამაზე მეტის გაცემა არ უნდა იყოს; ნაკლები კი შეიძლება. ამ ზომის დანიშვნა ამხანობის მოთავეებზე ჰკიდია, და ამხანაგობის გამართვის დროს კარგა უნდა გამოარკვიონ, შეუძლებელ გლეხს რამდენი ზომის ფული დასჭირდება იმ სოფელში; ესე გამორკვევით რაც სასესხებელი ფულის საჭირო, უნდა იანგარიშონ რა ზომამდინ მეტის მიცემა შეიძლება და ეს დიდი ზომა უნდა შეიტანონ დებულებაში და წარუდგინონ მმართებლობასა.

ჩვენ რომ მმართებლობის დამტკიცებულ დებულებასა ვხსნით, იმ დებულებაში მოხსენებულია, რომ გასესხებული ფული სამით მეტი არ უნდა იყოს საამხანაგო წილის ფულზედაო; აქედამ სჩანს, რომ ამხანაგობის სამუშავებელი ფული და გასესხებული ფული რა რიგათ უნდა იყოს ერთმანერთზე დამოკიდებული. აქედამ გამოდის, რომ თუ ამხანაგობისათვის დიდი ფული არის საჭირო, საამხანაგო შესატანი წილის ფულიც დიდი ზომისა უნდა იყოს; ამისგამოთ ამხანაგობას შეუძლია რომ უფრო მომატებით დიდი ზომა დანიშნოს გასასესხებელი ფულის.

მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვურჩევთ, რომ უფრო პატარა ზომა დანიშნონ გასასესხებელი ფულისა; ამიტომ რომ ამხანაგობას არ გაუძნელდეს საამხანაგო წილის შედგენა. რამდენათაც საამხანაგო წილი მეტი იქნება, რასაკვირველია რომ ბევრს გაუჭირდება ამ წილის შეტანა და ამხანაგობა ძნელათ შედგება. თუ შესდგა ბოლო იქნება ცუდი მოუვიდეს, ფულის შეუტანელობით იქნება ამხანაგობაც მოიშალოს. ეს სიფთხილე მართებს მოთავეებსა. ამასთანავე გასასესხებელი ფულის ზომის მომატებას დებულება არ უკრძალავს და ამისათვის როცა ამხანაგობისათვის საჭიროთ გამოჩნდება, რომ მეტი ზომის სესხია საჭირო, ყოველთვის შეუძლიათ მოუმატონ. მაგრამ ეს სესხის ზომა მხოლოთ მაშინ უნდა გაადიდონ, როცა მართლა ბანკის შემწეობით ამხანაგების საქმეები წინ წავიდა და ამისგამო, როდესაც უფრო ბევრს ამხანაგებს მართლა სესხი მეტი დასჭირდება. ეს უეჭველათ ასე უნდა იყოს; თორემ მალმალე შეცვლა სესხის ზომისა ცუდი იქნება: ამხანაგობას როცა გარეშე ადგილიდამ ფულის აღება მოუნდება, კარგის თვალით არ შეხედვენ და სანდოთ აღარ უყურებენ. ამას გარდა მალმალე შეცვლა თუ დაიწყეს, ახალი შემძლე ამხანაგები თან და თან სესხის ზომის მომატებას დაიწყობენ, გაიმართება ბაასი, დავი-დარაბა და უკმაყოფილება.

ამისგამოთ სესხის ზომის მომატებაც ისე უნდა მოხდეს, როგორც სოლმე საამხანაგო წილის მომატება ხდება; ეს მაშინ უნდა მოხდეს, როდესაც ამხანაგობის წილის ფული მატობს და ბანკში ბლომათ არის შემოსული. სესხის ზომის შეცვლა ამხანაგობის საერთო კრებას შეუძლია და არა სხვა რიგათ.

პეტ. უმიკაშვილი.

---

## ამბები

ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენში ძალიან შემოვიდა მაუდის მაგიერათ ოსური და ლეკური შალის ხმარება. რუსულ სერთუკებსა და შალვრებს დიდკაცობა ამ შალისას აკერვინებს და ამის გამო კაი ფასი დაედო. ჩვენმა მთიულების ქალებმაც იციან კაი შალის ქსოვა მეტადრე არაგვის და ქსნის ხეობებში, მაგრამ ძალიან ცოტა ჩანს ქალაქში. უფრო ლეკური და ოსურია. კარგი იქნება რომ ქალაქში ჩამოიტანონ სოლმე გასასყიდათ. თითო საჩოხე შალი ქალაქში ოთხ მანეთიდამ თხუთმეტ მანეთამდინ იყიდება, სიკეთის გვარათ. თივთიკის შალი ოც მანეთზე მეტათაც იყიდება, თუ კაი თივთიკია და კარგი ნაქსოვიც არის.

---

წინა ფურცელში გამოვაცხადეთ, რომ ძველი ასიგნაციებს აპრილის თვემდინ კიდევ დაახურდავებენ სახელმწიფო საზინაში. აქამდინ რადგანაც არ იცოდნენ, რომ ეს განკარგულება მოხდებოდა, ბევრგან სოფლებში სულ ორ ორმაურათ გაუყიდნიათ მანათიანი ასიგნაციები. ამის თაობაზე ქართულ გაზეთში «დროებაში» იწერებიან იმერეთიდგან, რომ ახლა რაკი ახალი ვადა დანიშნა მმართებლობამ, ოთხ აბაზ უზალთუნათა ყიდულობენ ხალხის მატყუარა კაცებიო. ეს ამბავი უფრო იმისგან არის, რომ ქალაქის მოშორებულ სოფლებში გვიან მოდის ახალი ამბავი და იქნება კიდევაც მოხდეს რომ ვაჭარმა კაცებმა გლეხები გააბრიყონ. ამისათვის ყველას ჩვენი გაზეთის მკითხველებსა ვთხოვთ, რომ გლეხობას მალე აცოდინოს ძველი ასიგნაციების დახურდავების ამბავი და რამდენათაც მალე შაიძლება დაახურდავონ, წინ რამდენიმე თვეა. ეცადნონ მარტამდინ გათავებული ჰქონდეთ, რადგანაც ამ ზამთრობით უფრო მოცლილი იქნებიან, ვიდრემც მარტში; აპრილის სამში ხომ აღარ აიღებენ.

---

ამას წინათ ვსწერდით, რომ რუისში ერთ უბანში წყარო გაუკეთებიათო. ესლა შევიტყეთ რომ რამდენსამე უბანში ბერძნებისათვის გაუკეთებინებიათ წყაროები, მხოლოდ უკანასკნელ დროს ერთ უბანში ფული დაჰკლებიათ და ამის გამო გამკეთებელს თავი დაუნებებია: სანამ ფული არ მამცეთ არ გავაკეთებო. ეს გამკეთებელი იქაურივე ქართველი გლეხია თურმე, გურასპაშვილი, ადრინდელი მამასახლისი. კარგა უსწავლია ბერძნებისაგან წყაროების გაკეთება და ესლა სხვა და სხვა ადგილს, გარეშემო სოფლებში მიჰყავთ წყლის გამოსაყვანათაო. ამ გურასპაშვილს აქებენ კაი კაცია და კაი ოსტატიაო. თუ მართლა ასეა, ცოდვა არ არის, რომ მუშაობას აწყვეტინებენ სოფელი და თავის სასარგებლო საქმეს არ ასრულებინებენ? სოფელში ერთმანეთის გამოჯიბრება რათ უნდა იყოს, ძმობა არა სჯობია. მთიულს უთქვამს:

ძმაო, რაი სჯობს ძმობასა, ერთმანეთისა ყმობასა;
ძმა მაშინ მოგაგონდება, ორნი რომ გცემდნენ მარტოსა.

ამბობენ რუისში პურის მაღაზია გაუმართავ-თო და ახლა ხუთასი კოდი ხორბალი აქვთ მო-გროვებულიო. აბა ღმერთო და ბედო, ნეტა მარ-თალი გამოდგეს. შარშან რომ ქიზიყელებმა შიმშ-ილი ნახეს, რამდენი კაცი დაფიქრდებოდა, ვაჲ, კაი სიტყვა რატო არ დავიჯერეთო. სხვა სოფლე-ბიდგან არაფერი ამბავი არ მოგვდის, მეტადრე ქიზიყიდგან. არ ვიცით ცოტა ჭკუა ისწავლეს თუ არა. შეგვატყობინეთ ადამიანებო. აქვე კი უნდა ვთქვათ, რომ მარტო პურის მოგროვება კი არ არის, მოვლაც უნდა და შენახვაცა. ამისი შე-ნახვა მამასახლისის საქმე კი არ არის, მთელი სო-ფლის საქმეა. ამაზე როდესმე მოვილაპარაკებთ.

---

ერთი სამწუხარო ამბავი შევიტყეთ. ქართლში სოფელს სოვლეში ამ რამდენიმე წლის წინათ ორი შკოლა იყო, ერთი ქალებისა და ერთიც ვაჟებისა. ორშივე მუქთათ მღვდელი ასწავლიდა და ჯავახიშვილის ცოლს თავლუური ეჭირა. თავი-დამვე ამ ქალს გაუმართავს. ადრე მორიდამ გვე-სმოდა, რომ უმაწვილები კარგა სწავლობდნენო და ქალების შკოლაში წერა კითხვას გარდა ხელსაქმეს და ხალიჩის ქსოვასაც ასწავლიდნენო. ქალ[illegible]-ვე შკოლები დაკეტილა, რადგანაც მღვდელი თუ-რმე აღარ დადის სასწავლებელათა რადგან მუქ-თათ ყოფილა და შკოლის მოთავეს ჯავახიშვილის ცოლსაც საკუთარ ოჯახის გარემოებისა გამო ვე-ღარ შესძლებია შკოლების პატრონობა. ძალიან სამწუხაროა. საკურველია სოფელმა ისე როგორ ვერ მოახერხა რომ მღვდლისათვის ცოტაოდე ჯა-მაგირი მაინც ეძლია. ამბობენ შკოლებს საკუთა-რი შენობაც ჰქონია. და ეხლა ცარიელები ჰყრია. იმედი გვქონდა რომ თუკი გლეხობამ შკოლები-სათვის შვილებს საკუთარი შენობა უშოვნა, ამი-სთანა გლეხება ოსტატსაც უშოვნის.

ამავე სოფელ სოვლეშია ამბობენ პურის მა-ღაზია გაუმართავთო. ღმერთმა ქნას ეს მაღაზი-აც შკოლასავით გულაფშუტათ არ იქცეს

---

ამ ზამთარს ქალაქ გორში ძალიან სიკვდილის ამბავს ამბობენ. გლეხ კაცობაში ძალიან გაში-რდაო. მიზეზი ამისი ხმელი სიცივეებია და რა-საკვირველია ჩაცმისა და ჭამის უქონლობა.

---

გაზეთში სწერენ რომ მმართებლობა ამ ზა-ფხულს აპირობს გამოფენის გამართვასა. გამო-ფენაში იქნება მარტო იმგვარი ბალახეულობა მცე-ნარე, რომელიც ძაფათ და თოკათ ირთვება და ქსელებისთვის გამოსადეგია: განაფი, სელი და სხვა ამგვარი მცენარეები. ამასთანავე ამ მცენა-რის სათესი და მოსაქსოვი რაც იარაღები და მაშინებია ხმარებული რუსეთში ან საფრანგეთის ქვეყნებში, ისიც იქნება გამოფენილი, რომ მნა-ხველმა შეადაროს რუსეთის მონაღვაწე უცხო ქვეყნების მონაღვაწესა, რა რიგის იარაღებით მო-ჰყავთ რუსეთში და სხვა ქვეყნებში, რა ქსელების სხვა და სხვა ქვეყნებში ამ მცენარეებისა. ვისაც სურს ამ გამოფენაში გაგზავნა თავისის ნაწარმოებისა, აპრი-ლის პირველამდინ უნდა შეატყობინოს, გასაგზა-ვნი თუთხმეტ მაისამდინ უნდა გაგზავნოს. გამო-ფენის გახსნა დაიწყობა პირველ თიბათვესა; ჩვე-ნში განაფისა და სელის თესვა არ არის სამწუხა-როთა და ქსელის ქსოვა ხომ სულ არ იციან. მაინც კი საკვირველია, რომ ვისაც კი საცდელათ რამ დაეთესოს ან მოექსოვოს, გაგზავნოს ამ გამოფენაზე.

---

# სამეურნეო ნაწილი

## ბოსტნის გაკეთება

საბოსტნე ადგილი სწორე არ ვარგა. სჯობია აღმართი, იმიტომ რომ ბოსტნეულს წყალი ძა-ლიანა სწყინს, და თუ სწორე ადგილას არის, შე-მოდგომას, ან სხვა დროს თუ წვიმები ძალიან მოვიდა, სწორე ადგილას დაგროვდება წყალი და ბოსტნეულ მოსავალს წაახდენს. ამისა გამოთ ბოსტნის ადგილი აღმართი უნდა იყოს და უფ-რო პირი ან სამხრეთისაკენა ჰქონდეს, ან აღ-მოსავლეთისაკენ, რომ მზე უფრო დაჰყურებდეს,

ბოსტნის მიწა უფრო უკეთესი ის არის, თუ ქვიშიანი და თიხიანია, ან შავი მიწაა. სადაც ამი-სთანა მიწა არ არის ბოსტნებისათვის, სასუქით განგებ აკეთებენ ამისთანა მიწასა; დაბლობი და ჭაობი ადგილი რომ დააშრონ არხების გაყვანი-თა, ბოსტნისათვის ძალიან კაი ადგილი გამოდ-გამოდგება.

ბოსტნისათვის თუ თიხიანი ან შლამიანი ად-გილი შეხვდა ბოსტნის გამკეთებელს, ამის გა-კეთება ასე შეიძლება, რომ ქვიშა გაურიოს და თუ ქვიშიანი ადგიალია, თიხა გაურიოს, ან წულის ლამი.

ბოსტნისათვის უკეთესი წყალი მდინარე ან ტბის წყალია. ახლათ გამოსული წყაროს წყალი და ან ჭის წყალი აუზებში, ან ნავში უნდა მო-აგროვონ, რომ დილით საღამომდინ მაინც იდ-გეს და მერე კი სარწყავათ იხმარონ.

ბოსტნის კვლები სხვა და სხვა გვარია:

სათესი კვლებია, საცა თესლსა სთესენ, გადა-სარგველი კვლები, ისეთი კვლებია რომელზედაც სათეს კვლებიდამ გადმორგვენ ხოლმე ბოსტნე-ულ მცენარესა.

მიჯნის კვლები უნდა გააკეთონ ღობეებთან, ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მხარესა.

ბოლოს ფეხის კვლებს აკეთებენ იმისთანა ადგილს, რომ ქარი არ დაჰქროდეს და მთელი დღე მზე ზედ დაჰყურებდეს.

ბოსტნის მიწისათვის ყოველგვარი სასუქი ძა-ლიან საჭიროა და მშვენივრათ აკეთებს. ყველაზე უკეთესი—საქონლის სასუქია.

სასუქის დაყრისათვის უკეთესი დრო შემოდ-გომა და ზამთრის პირია, როდესაც დედა-მიწა ჯერ არ გაყინულა; იმიტომ რომ ამდროს მი-წას უფრო კარგა ეღინთება და გაზაფხულზე ბოსტნეულობის მოსავალს კარგა ამოიყვანს. თუ დედა-მიწა გაყინულა, სჯობია რომ სასუქი ისევ გაზაფხულზე დაყარონ. მაგრამ ესეც ადგილზეა დამოკიდებული, სადაც თბილი ადგილია და დედა-მიწის პირი ერთი ბეწოც არ გაყინულა, იქ ზამ-თარშიაც შეიძლება სასუქი დაჰყარონ.

სათესლე ბოსტნეულისა ისა სჯობს, რომ თა-ვისის ბოსტნისა იყოს, ვიდრე სხვისა. მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ, რომ ბევრჯელ ბოსტნეულის სათესლე კარგია, მაგრამ კი არ მოდის. ეს უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითონ ბოსტნის პატრონის ბრალია და ამ შემდეგის მიზეზისაგან მოსდება ხოლმე:

ა] თუ მიწის სითბოსაგან თესლი გაღვივდა და ამოსვლის წინათ ყინვამ დაასწრო, მაშინვე ფუჭდება.

ბ] ზოგჯერ თესლი რაკი ამოვა, მაშინვე ყინვა სძრავს.

გ] გაზაფხულობით მოსდება რომ დილით ამოსულ ბოსტნეულს წვრილი ჭია დაესევა და მუადღემდინ ისე გადასჭამს, რომ თუ ამოსვლას თვალი არ მოჰკრა კაცმა, ასე ჰგონია, თესლი არ გამოდგაო.

დ) ზევრმა ისეთი თესვა იცის თესლისა, რომ მიწას რიგიანათ არ წაათვარებს; რასაკვირველია ასე დათესილი თესლი ან ქარს მიაქვს, ან მფრინველი სჭამს. ზევრმა კიდევ ძალიან ღრმათ თესვა იციან, რომ თესლი ვერასოდეს ვერ ამოვა.

ე) თესლის შეტყობისათვის, რომ ამოვა თუ არაო, აი რას ჩადიან: სველ ნაბადში ან შალში თესლსა ჰყრიან და თეფშზე ან ნატეხარში სდებენ და თბილ ადგილსა სდგმენ. ისეთ ადგილს უნდა დასდგან, რომ ერთ გვარი სითბო იყოს. ამასთან თუ სითბო და სინოტიე ან დააკლდა და ან მოემატა, თესლი დალპება. თუ ძალიან სიცხეშია თესლი, სულობით აღარ ამოვა და წახდება. ამგვარის გაშინჯვით თესლი თუ კარგია, ჯეჯილს გამოიღებს და ამოვა. ჩანს ვარგებულა.

ვ) ზგიერთს ჩვეულება აქვს, რომ დათესვის წინათ თესლს წყალში ალბობს. ეს ცუდია, ამიტომ რომ დათესვის შემდეგ თუ თბილმა და ნოტიო დღეებმა მოუსწრა, თესლი ძალიან მალე დაიწყებს გაღვივებას და ჩალპება. თუ ცივმა დღეებმა მოუსწრა გაღვივებას, გაუმნელებს თესლსა და ჭიების კერძი გახდება. თესლის დალბობას კიდევ ერთი ცუდი რამ მოსდევს: როცა ამოვა, მწვანილეულობა ძალიან სუსტი მოდის და თუ მშრალი ქარიანი დარებიც დადგა დათესვის შემდეგ უეჭველათ მორწყვას მოითხოვს, თორემ გაღვივებული თესლი სრულებით ჩახმება და ჩაფუჭდება. ეს მორწყვა ყოველთვის ძნელია. ამისათვის თესლის დალბობა არვარგა.

აი ეს მიზეზები კარგა უნდა იცოდეს მებოსტნემ თესლის არჩევისთვის და მოვლისთვის.

მიწის გათოხნა და აშლა ძალიან არგებს ბოსტნეულსა და თითქმის ყოველთვის საჭიროა, მეტადრე თუ დიდი წვიმის შემდეგ სიცხეები დაიჭირა და მიწა გოროხათ შეჰკრა.

ფოთლების შეკვრა და ერთმანეთზე შესვევა უნდა იმისთა ბოსტნეულსა, რომელსაც ფესვები დაბლა ძირს კი არა აქვს გასული, უფრო მიწის პირათა აქვს, როგორც კომბოსტომ იცის ხოლმე; თუ ფოთლები არ შეასვიეს ერთმანეთსა, ცუდათ იზდება და ბიჭა გამოდის, შეშასავე მაგრდება. მაგრამ ესეც კი საჭიროა მებოსტნემ იცოდეს, რომ სანამ ბოსტნეულმა კარგა ფესვები არ გაიდგას და კარგა არ გაიზარდოს, ფოთლები არ უნდა შეუხვიოს, თორემ გაფუჭდება.

ბოსტანში გამარგლვა უეჭველათ საჭიროა, მაგრამ ეს საქმე ხელით უნდა გააკეთონ და უბრალო ბალახი ისე გასწმინდონ. უნდა ეცადონ, რომ მომატებული სარგებლობისათჳს კარგა სუფთათ გასწმინდონ, რომ მართლა სრულებით უბრალო ბალახი აღარ დარჩეს; ამისათვის მარტო ძირიანი ბალახი კი არ უნდა ამოაგდონ, ისიც უნდა მოასპონ, რომ ეს ბალახი თესლის შემოსვლამდინ გასწყვიტონ; თორემ შემოსვლის მერე ეს თესლი მთელ ბოსტანს მოედება და უფრო საწვალებელი გახდება.

გამარგვლის დროს მუშა კაცი ფრთხილათ უნდა იყოს და ბოსტნეული მოსავალი ფეხით არ გასჰქელოს; ამისთვის კარგია ფეხშიშველა იმუშაონ.

# საექიმო ნაწილი

## შინაური წამლობა

### ჭ ი ნ ჭ ა რ ი

ჭინჭრის მსალი ჩვენი საყვარელი საჭმელია ხოლმე და წამლათაც გვადგება. დამბლასავით გაშეშებულს ხელს ან ფეხს რომ ჭინჭრით დაუწყოთ ცემა ხელ-ფეხს მოძრაობას მისცემს, აგრეთვე-დასუთვას, ძილქუშს უსდება; მკდარსავით მდებარე ადამიანს გონზე მოიყვანს და ტანზე წვრილ მუწუკს უჩენს, ეს ნიშანაა, რომ ადამიანი ცოცხალია. მკვდარს მუწუკს არას დროს არ შეაყრის. შიგნით შებრუნებულ მუწუკებს გარეთ გამოაყრის, და ამით მოარჩენს ადამიანს საშიშრო შიგნით შებრუნებულ ავათმყოფობისგან. ამ გვარათ შვლის, მოლაქურს, ქერქეშს, წითელ ქარს. ამასთანავე ამბობენ ჭინჭრით თმის ბანა თმას უკეთებსო და აღარ ჩამოჰყავსო, ამ ბანასთან გულისხმიერება არის საჭიროვო, რადგანაც კაცს თმა უფრო ზრუნვისა და ჯავრისაგან უდროვო დროთ უთეთრდება და ჩამოსდის.

ქოშინზე, სისხლის ამოსვლაზე და საჩვრძლივ სველაზე ჭინჭრის ნადუღარ წყალსა სმარობენ ხოლმე: ვისაც ჭია აქვს და შარდის სუთვა, ჭინჭრის თესლსა სმარობენ ხოლმე.

ამ სმარებას გარდა ჭინჭრის ღეროებს ზოგიერთ ქვეყნებში ხელის ღეროსავით სმარობენ. აკეთებენ მსხვილ ტილოს, თოკსა და სხვას ამ გვარებსა. აგრეთვე გაჭირების დროს როდესაც თუთის ფურცელი აკლდებათ, აბრეშუმის ჭიას ჭინჭრის ფოთოლს უფენენ, რომ შიმშილით არ დაიხოცნენ.

# სამეცნიერო ნაწილი

## ჰ ა ე რ შ ი რ ა ს დ ე ბ ა და რ ა უ ნ დ ა ი ც ო დ ე ს მ ხ ვ ნ ე ლ მ თ ე ს ვ ე ლ მ ა.

### III

ხანდის ხან ზაფხულში ცხელს დღეში ჰაერში ტოთია, ცა იღრუბლება, ქარი ნელ-ნელა უბერავს, მოდის პატარა წვიმა, რომელიც თანდათან დიდდება და გვესმის ქუხილის ხმა. რა არის ქუხილი ან რისგან მოსდება? როგორც წვიმა მოდის იმისგან, რომ ჰაერში გროვდებიან ღრუბლები, რომელნიც ორთქლისაგან არიან შემდგარნი, აგრეთვე ქუხილსაც აქვს თავის მიზეზი. ქუხილის წინ ჰაერში სიჩუმეა, ამიტომ რომ ცივი ჰაერი აწვება თბილს და ჩვენ ამდროს ვგრძნობთ, ტოთსა. წყლის ორთქლი, რომელიც იყო ჰაერში სიცივისგან იქცევა წყლათ და მოდის წვიმა. ამასთანავე ღრუბლები ეჯახებიან ერთმანეთს და ამისგან მოსდება ნაპერწკალი, რომელიც დაუვლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლმე ღრუბლებს და ამას ვეძახით ჩვენ ელვას. რადგანაც ეს ნაპერწკალი მოხდება დიდი ხმაურობით, ამიტომ ელვასთან ჩვენ გვესმის ქუხილი, ხანდისხან ნაპერწკალი ჩამოვარდება ხოლმე მიწაში და ქრება. ეს მეხია. ხეს ან სახლს რომ დაეცეს, დასწვამს, ადამიანს ან პირუტყვს—მოჰკლავს.

მაშ ჩვენ ეხლა შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ჰავას დამოკიდებულია პირველად სითბოზედ ან სიცივეზე, ჰაერის სიხმელეზე ან სინოტიოზე; მეორეთ ადგილზე: მთიანია თუ მინდვრიანი, ზღვის ან ტბის სიახლოვეს თუ არა, ტყიან ადგას, თუ უტყეოს.

ჰაერის ცვლილობაზეა დამოკიდებული დარი ან ავდარი რომელიც აგრეთვე ყოველთვის იცვლება. დარის შეტყობა წინათვე შეიძლება; ამისთვის არის რამდონიმე ნიშნები.

კარგი დარი იქნება:

ა) როცასაღამოზე მზის ჩასვლის შემდეგ ცა კარგათ მოწმენდიალია და მზე ღრუბელში არ ჩადის.

ბ) როცა ახალ მთვარეს წვერები ნათელი აქვს და თითონ მთვარე ნამგალს ჰგავს.

გ) როცა ნისლი მაღლა კი არ ადის, ჩამოდის მიწაზე.

დ) როცა ქარი აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრიდამ ჰქრის.

ე) თუ დღეები გრილებია თუნდ ღრუბლიანებიც იყვნენ, წვიმის ფიქრი არ უნდა ჰქონდეთ და მუშაობა არ უნდა დააყენონ.

ვ) როცა ცა წმინდა და უღრუბლოა, მაშინ დარი დიდხანს იქნება, ან როცა წვიმის შემდეგ ღრუბელი ერთბაშათ არ გადადის.

ზ) როცა დილ-დილით დიდი ნამი არის, მაშინ კაი დარი დიდხანს იქნება.

ჱ) როცა ობობა, ბაბაჭუა, გამოდის და ჰქსოვს აბლაბუდას.

თ) როცა ბაყაყები ყიყინებენ.

ი) როცა წურბლები ჩადიან ქილის, ბოთლის ძირს და წვებიან იქა.

ია) როცა ფრინველები ჰაერში მაღლა ფრინავენ.

წვიმას ან ცუდს დღეს მოელიან ამ შემდეგის ნიშნებით:

ა) როცა მზე ღრუბელში ჩადის.

ბ) როცა დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის მხრიდგან ქარი ჰქრის.

გ) როცა ბურუსი ადის მაღლა.

დ) როცა დილ-დილით ნამი სრულობით არ არის.

ე) როცა დილის შუქი ძალიან წითელია.

ვ) როცა მზე ამოსვლის დროს ძალიან არ ანათებს და როცა მზესაც და მთვარესაც ეხვევიან ღრუბლები.

ზ) როცა ობობა, ბაბაჭუა კუნჭულში იმალება.

ჱ) როცა ქათმები ძალიან კაკანებენ და მერცხლები დაბლა ჰფრინავენ.

თ) როცა ბუზები გარედგან შინ შედიან.

ი) როცა ძაღლები და კატები ბალახს სჭამენ და ცხენებს ბუზანკალი ძალიან აწუხებს.

ადამიანს ვერ შეუძლიან ჰავის გამოცვლა, მაგრამ შეუძლიან გააუმჯობესოს· მაგალითად: რამდენათაც უფრო შემუშავდება მიწა, რომელზედაც წინაც არც ტყე და არც არაფერი არ იყო, იმდენათ იქ ჰავა გაუმჯობესდება. ტბიან ადგილებში ტბების დაშრობა ჰავას აკეთებს· იქ სადაც გვალვა იცის, უნდა გაიმართოს წყლის არხები, ირწყვებოდეს მინდვრები. ამის გარდა ტყეები ბევრს შველიან ჰავის გაუმჯობესობას; დაბალს ნოტიო და წყლიან ადგილებში თუ დიდი ტყეებია უნდა მოიჭრას და მიწა მოიხნას, ეს გაასხმობს ჰაერს. მაღლობ ადგილებზე სადაც გვალვებია ტყეები უნდა შეინახონ და თუ ცოტაა გაამრავლონ კიდეც ამიტომ, რომ ტყე ამრავლებს წყალს წყაროებში და ტბებში, ქარიშხალს ძალას აკლებს, სეტყვის რიცხვს ამცირებს, ჰფარავს ადაგს მავნებელი ქარებისგან და ჰავას აგრილებს.

თუ გვინდა რომ კარგი მოსავალი მოვიდეს, უნდა ვიცოდეთ, რომელ მცენარეს რა ჰავა უფრო მოუხდება.

ა] ძალიან დიდი სიცხის ატანა შეუძლიანთ: სიმინდს, თამბაქოს, ფეტვს, კანაფს, უგრეხელს და სვიას.

ბ] მცირე სითბოს ატანა შეუძლიანთ ხულადს, სიმინდს, კარტოფილს, სელს, იონჯას, თალგამას, ბრინჯს და ლობიოს გვარ ბოსტნეულს, პარკიანსა.

გ] ცოტათ ნოტიან ჰაერში მოდის სორბალი, იონჯა, კარტოფილი, შვრივა, თალქამი, სელი.

დ] მშრალს ჰაერს იტანენ: სიმინდი, ქერი, მუხუდო, უგრეხელი.

ყურძენი მოდის მარტო თბილ ჰავაში. ბაღებისთვისაც თბილი ჰავაა საჭირო, მაგრამ ბაღების გამართვა სხვა ჰავაშიაც შეიძლება. ბაღჩების გამართვა შეიძლება ყოველ ჰავაში; ეს იმაზეა დამოკიდებული, რა მცენარეები იქნებიან დანერგულნი შიგ. ხოლოდ საჭიროა, რომ ბაღჩა დაფარული იყოს ჩრდილოეთის და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ქარებისაგან.

ვ.

# წყალი

წყალი არის თხელი სხეული, ისეთი სხეულია, რომლის ნაწილებიცა ისე უღონოდ არიან ერთმანეთზედ მიკავშირებულები, რომ ადვილად შორდებიან ერთმანეთსა, და ერთათ არ დადგებიან, თუ რომ არაფერი არ მოუფარე გვერდებზე ისეთი, რომელმაც დააბრკოლოს იმათი გაფანტვა; ამის მიზეზით წყალსა, ისე როგორათაც ყოველს სხვას თხელს ნივთიერებასა, შეინახვენ ხოლმე ჭურჭელში. მაგრამა, თუ წყალი არის ერთს ადგილას ძრიელ ცოტა, წვეთიკითა, მაშინ იმისი ნაწილები ერთმანეთს თავის თავათ არ მოშორდებიან ასე, რომა ზოგიერთი წვეთი ხის ფოთოლზედ რო დარჩება ხოლმე წვიმის შემდგომ, დიდხანს ციმციმებს და არც დაიშლება, თუ ქარმა არ შემოუბერა და არ ჩამოაგდო ძირსა. ის ნაწილები, რომელთაგანაც არის შედგენილი ჰაერი, უფრო დუნეთ არიან ერთი ერთმანეთზედ მიკავშირებულნი, წყლის ნაწილებზედ, და ყოველთვის ცდილობენ ერთი ერთმანეთის განშორებასა; და ამის მიზეზით ჰაერს არ შეუძლიან წვეთივით შეიკრას და შეიკრან თავი, როგორც წყალსა.

ჩვენ ყველამ ვიცით წყლის თვისება, რომ იმას შეუძლიან ბევრი სხეულის დადნობა ან დაშლა: მარილისა, შაქრისა, კირისა, საპნისა,

მცენარეხი, ცხოველისა და სხვათა. და რადგანაც წყალი მომდინარეობს მიწაზედა, გამოივლის ტბეზედა, მიწას გახვრეტამს და გაივლის შიგა და შემდგომ ისევ გამოხეთქამს და გამოვა, შეზში ამოდის და ამ ნაირათ ეხსუნება სხვა და სხვა ნივთიერებასა. ამის მიზეზით წმინდა წყალი სრულიად არსად იპოვება; ყველაზედ წმინდა არის წვიმისა და თოვლის წყალი. წყალმა თუ გაიარა კირიან მიწაზედა, მაშინ შიგ აერევა იმასა კირი და იმისთანა წყალსა ჰქვიან *კირიანი წყალი*: ამ ნაირი წყალი არის ძრიელ შეკრული ასე, რომა საპონს ვერ დაშლის. ვერ საქაოფებს ზღვის წყალსა მლაშე და მწარე გემო აქვს, ამისათვის რომ ურევია სხვა და სხვა ნაირი მარილი. ზოგიერთს წყლებში ურევია მრავალი სხვა და სხვა მცენარისა და ცხოველის ნაშთი და ამისთანა წყალი, როგორც ამბობენ, მალე ლპება, აედინება სუნი და სასმელად მავნებელია: მაგრამ წყალი თავის დღეში არ დალპება და არც გაფუჭდება, წმინდა წყალი ყოველგან ერთ ნაირათ სუფთა არის, მხოლოდ წყალში, რომ სხვა და სხვა ნაირი მცენარისა და ცხოველის ნაშთი მოჰყვება ხოლმე, ისა ლპება, და არა წყალი. თბილი ან ცივი წყაროს წყალი მიიღებს ხოლმე გემოსა, სუნსა, და ზოგჯერ იმ მადნის ფერსაცა, რომელთ შორისაც გაუვლია მიწაში, ვიდრე გარეთ გამოვიდოდა წყაროსავითა. წყალი რომ სრულიად დაწმინდო, ისე რომ შიგ სრულიად აღარა ერიოს რა, ის შეიქმნება სითხელე გამჭვირვალე [ბროლებრივ], არც ექმნება ფერი, არც სუნი და არც გემო.

ყველამ ვიცით, რომ წყალი ყოველთვის არ არის თხელი, ზოგჯერ გამაგრდება ძალიან. ყინვა წყალს ყინულად გარდააქცევს და გახურებულს რკინაზედ რომ დავასხათ, მაშინვე ოხშივარათ გადიქცევა. აქედგან ჩვენ შეგვიძლიან შევიტყოთ, რომ წყალი სიცივისაგანა და სითბოსაგანა გამოიცვლის თავის შეხედულობასა; ქოთანში, რო წყალი ჩაასხა და დიდხანს ადუღო, ის მაშინ ცოტცოტათი სულ ამოშრება. რა იქნა ახლა ის წყალი? ის წყალი გადიქცა *ოხშივარად* ან *ორთქლათ*, და გაიფანტა ჰაერში. წყლის ნაწილები რომელნიც უიმისოთაც დუნეთ არიან ერთმანეთზედ მიკავშირებულნი, სითბოსაგან უფრო და უფრო მოდუნდება ის კავშირი, და ნაწილები შორდებიან ერთმანეთსა, და წყალი შეიქმნება ხოლმე ამ შემთხვევაში ჰაერზედ უფრო თხელი უფრო მსუბუქი და აიწევს ზეითა, წავა და გაიფანტება ჰაერში. თუ გინდა დარწმუნდე იმაზე, რომ წყალი აქ გამქრალა უგზოუკლოდ, და ორთქლად გადაქცეული იმყოფება ჰაერში, ამისათვის უნდა დაიჭირო ქვაბზე, საიდგანაც ორთქლი ამოდის, ცივი თეფში, და მაშინ ნახამთ, რომ თეფშზედ გამოჩნდება წყლის წვეთები. საიდგან გაჩნდნენ წვეთები მშრალს თეფშზედ? ეს არის ისევ ის წყლის ოხშივარი: ორთქლი ქვაბიდგან ამოსული მოხვდა ცივს თეფშსა და იმ სიცივისაგან გაცივდა, გასქელდა და წვეთებად შეიქმნა.

მაგრამა ორთქლად გადასაქცევათ არც კი არის საჭირო წყლის გათბობა. დასხველეთ ხელსახოცი და ჩამოჰკიდეთ თუ გინდ ცივს ოთახში: რამდენსამე დროების შემდგომ ნახამთ, რომ ხელსახოცი გამშრალა, ის წყალი, რომელიც ხელსახოცში იყო ორთქლად ან ოხშივრად გარდაქცეული გაფანტულა ჰაერში, თუმცა ოხშივარი იქიდგან ასული სრულიად არ დაგინახამთ. ოხშივარი ვერ დაინახეთ ამისათვის, რომ ორთქლი ამოსული ცივი ხელსახოციდგან ცივსავე ოთახში, სადაც წყლის ნაწილებს ხვდებოდა ცივი ჰაერი და ძრიელ ნელ-ნელა აგრილებდა; მაშინ როდესაც, ადუღებული ქვაბიდგან ამოსული წყლის ნაწილები ხვდებოდნენ ცივს ჰაერსა და ძრიელ მსწრაფლად გრილდებოდნენ და იქცეოდნენ პატ-პატარა წვეთებათა ან ცვრებად, რომელთაც ერთად შეკრულებს ვეძახით ოხშივარსა, ან ორთქლსა. აი, რის მიზეზით ზამთარში ჩვენა ვხედამთ, როდესაც დაღალულ ოფლიან ცხენსა ზდის ორთქლი, და ზაფხულში კი ვერა ვხედამთ ამ ორთქლსა, თუმცა, რასაკვირველია, ზაფხულში ცხენს ოფლი უფრო მალე მოუა, ვიდრე ზამთარში.

ამ გვარად ჩვენა ვხედამთ ერთსა და იმავე წყალსა სხვა და სხვა ნაირის ჰაერის ცვლილებაში, სითბოში და სიცივეში [რომელსაცა ჰქვიან ტემპერატურა], ოთხ სხვა და სხვა ნაირ შეხედულობით: *ყინულად*, *თხელად*, *ოხშივარად* ან *პაწაწკინა წვეთებად* და *ჰაერის მგზავს ან გაზსა*. როდესაც წყალი ჰაეროვნად ან გაზად იქცევა, მაშინ, თუმცა თვალით ვერა ვხედამთ, მაგრამ თუ მოვინდომეთ ძალიან ადვილად შეგვიძლიან იმისი აღმოჩენა. თბილს ოთახში, რომ შეიტანო ცივი მინის ნატეხი, მაშინ ნახამთ მინაზე ოფლსა, ცვარსა, და თუ ეს ცვარი ბევრია, მაშინ შეგუბდება წყალივითა. საიდგან აღმოჩნდა ის წყალი? ის აღმოჩნდა ჰაერიდგან, სადაც ის იყო უჩინო, უხილავი, როგორათაც თვითონ ჰაერი. აგი ეს უწინაცა ვნახეთ, როდესაცა მდუღარე ქოთანზე ან ქვაბზე გვეჭირა ცივი თეფში, და ოხშივარი ჯერ ორთქლივითა სჩნდა და მერე წვეთივითა.

განა მარტო წყალსა აქვს ის თვისება, რომ სითბოსაგან, როცა მაგარი არის გათხელდეს [როგორც ვსთქვათ ყინული დადნება და გათხეგათხელდება ხოლმე], შემდგომ სითხელე ორთქლად გადიქცეს, ორთქლიდგან იქცეს ჰაეროვნად, ან გაზოვნად. სხვაც მრავალი სხეული არის ისეთი, რომელიც შეიძლება სითბოთი მაგარის მდგომიარეობიდგან შეჰქმნა თხლად. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ წმინდა სანთელი სითბოსაგან დადნება; რკინაც აგრეთვე, თუმცა ძრიელ მაგარი სხეული არის, მაგრამ ძრიელის ცეცხლისაგან ჯერ დარბილდება, შემდგომ დადნება და გათხელდება წყალივითა. ოქრო შეიძლება დაადნო, შემდგომ ორთქლად აქციო და მერე ჰაეროვნად ან გაზოვნად. ვერცხლის წყალი ხომ თხელია, მაგრამ დიდის ყინვისაგან ისე გაიყინება, რომ შეიძლება კვერში გამოიყვანო, როგორათაც ვერცხლი; და ვერცხლის წყალი რომ მოადუღო, მაშინ ის ოხშივრად გადაიქცევა. ეს ოხშივარი ძრიელ მავნებელია ადამიანისათვის. მსწავლულმა კაცებმა სხვა და სხვა სხეულებზე შინჯეს მოქმედება სიმხურვალისა და სიცივის, და დარწმუნდნენ, რომ ყოველი სხეული სითბოსა და სიმხურვალისაგან გაიშლება, სიცივისა და ყინვისაგან მოიკრუჩხება. რა არის სხეულის გაშლა? ეს ის არის, რომ სხეული მომატებულს ადგილს დაიჭერს სივრცეში, უწინდელზე, და წონაში კი არ გამოითვლება, ვსთქვათ მაგალითათ: აიღეთ ერთი გირვანქა ღრუბელი ან ბანბა და მოუჭირეთ ხე-

ლი: სიმძიმე ისევ ერთი გირვანქა იქნება, მაგრამ ადგილს კი ცოტას დაიჭერს; მას შემდგომ გაუშვით ხელი, ღრუბელი თავის უწინდელს ალაგს დაიჭერს ისევ, გაიშლება, მაგრამ ამითი სიმძიმე და წონა არ მოემატება. აიღეთ ერთი სტაქანი ტყვია გაუმდნარი, და გაადნეთ, მაშინ ეს გადამდნარი ერთს სტაქანში აღარ დაეტევა: ამისათვის ერთი სტაქანი გაუმდნარი ტყვია უფრო მძიმე არის ერთს სტაქან გამდნარ ტყვიაზე. ამ გვარათვე, გამდნარი ერბოთი [რომ ბოთლი აავსო, როცა გაჰყინავს დასკრუვდება ბოთლი, და სხვანი. ამის მიზეზით გაუმდნარი ტყვიის ნაჭერი რომ ჩააგდო გამდნარ ტყვიაში, მაშინვე ჩასძირამს, კოშტი სანთელი გამდნარ წმინდა სანთელში ჩაგდებული აგრეთვე ძირს მოექცევა.

ამ საზოგადო კანონებს არ მიუდგება მხოლოდ წყალი. ერთი სტაქანი უფრო მძიმე არის ერთ სტაქან ყინულზე, და ბოთლი რომ წყლით აავსოთ პირამდინა, მაგრათ დაუცოთ და დადგათ ყინვაში, ბოთლი გასკდება; ამისათვის რომ წყალი გაიშლება სიცივისაგან და მომატებულ ადგილს დაიჭერს წყალზე, ვეღარ დაეტევა ბოთლში, და გასეთქამს. ამის მიზეზით ყინული მსუბუქი არის წყალზე, და არას დროს არ ჩასძირამს ყინულსა, ყოველთვის მოიტივტივებს. ერთს ბოთლში, რომ ჩაასხას წყალი და მეორეში გამდნარი ერბო და დადგათ საყინულეში, ნახამთ რომ წყალი გაიყინება ჯერ ზემოთ პირზე და დაჰყვება ყინული ზეიდგან ქვეითა ძირამდის; ერბო კი ჯერ გაიყინება ძირზე და მერე შეჰყვება ქვეიდგან ზეით პირამდინ. ამ საკვირველი წყლის თვისების მადლობელნი უნდა ვიყვეთ, რომა ჩვენი წყლები და ტბები გადაისურებიან ხოლმე ყინულით მხოლოდ ზემოდგან და ძირს კი არა ჰყინამს. და ეს აძლევს ღონის-ძიებას თევზსა, რომ ზამთარში ყინულისაგან არ იხოცება. ყინული ზემოდგან წყლის პირზედ გადაკრული დაიფარამს სიცივისაგან ქვემოთ დარჩენილ გაუყინავ წყალსა. წყალი, რომ სხვა სხეულებივით, გაყინვის დროს იკრუნჩხებოდეს და არ იშლებოდეს, მაშინ ჩვენი წყლები და ტბები ზამთარში ჯერ გაიყინებოდნენ ქვემოთ ძირზე და შემოჰყვებოდა ყინული ქვემოდგან ზეით, როგორათაც ბოთლში ჩასხმული ერბო, წყალი გადიქცეოდა სულ ერთიანად ყინულათა და ყოველი ცოცხალი წყალში მყოფი დაიხოცებოდა ზამთარში.

მ. ყ.

---

# განცხადება

## დროება

**1874**-ში გამოვა იმავე პროგრამმით და იმავე პირების თანამშრომლობით როგორც წასულ წელს გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება: ტ ფ ი ლ ი ს ს—,,დროების კანტორაში. ივანოვის ბიბლიოტეკაში. ქ უ თ ა ი ს ს— ანტ. ლორთქიპანიძის ბიბლიოთეკაში.

გარეშე მცხოვრებთ შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება:

***Въ Тифлисъ въ контору газеты «ДРОЭБА.»***

,,დ რ ო ე ბ ა‘‘ ეღირება გაგზავნით: ერთი წლით—ექ ვ ს მანეთად, ნახევარი წლით—სამ მანეთად.

,,კრებული‘‘ და ,,დროება‘‘ ერთად ეღირებს გაგზავნით: ერთის წლით—ცხრა მანეთად და ნახევარი წლით—ხუთ მანეთად.

ვისაც ამ წლის ,,დროების‘‘ ფასი არ შემოუტანია, ვთხოვთ, მალე გამოგზავნონ რედაქციაში.

---

მომავალ **1874** წელსა ხელის მოწერა მიიღება ჟურნალ

## ცისკარზე

რომელიც გამოვა იმავე პროგრამმით როგორც აქამდინ გამოდიოდა.

მომავალს **1874** წელიწადს ჩუენი «ცისკარი» გარდადგება მეთვრამეტე წელიწადში, ეს, ამდენი წლის ქართულის ჟურნალის გამოცემა საქართველოში შესანიშნავი უნდა იყოს ჩუენის მკითხველის საზოგადოებისათჳს, რომელთაცა კარგათ მოეხსენებათ თუ ვითარსა შრომას მოითხოვდა, მაშ აქ მეტი იქნება მოვილაპარაკოთ იმ სიკეთეზედ, რა სიკეთეც მოუტანა ქართულს ლიტერატურას,—ეს მაინც ცხადად სჩანს, თუ რამდენი წაახალისა მწერლობაში და რამდენი ჟურნალები და გაზეთები დაბადა ამ დედა ბომმა; მხოლოდ ახლა ამას ვითხოვთ, ვისაცა სურდეს დაბარება ამ ნამსახურის «ცისკრის, დროთი აცნობოს რედაქციასა

«ცისკრის» დაბარება შეიძლება ამ სახით ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად, თუ გაგზავნით **8** მანეთი

რედაქცია იმყოფება ბაზრის ქუჩაში, უეზდის სუდთან თამამშოვის სახლში. ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზე არ მიერთოს უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით: ცისკრის რედაქტორს ივ. კერესელიძეს ტფილისში.

რედაქტორი ივ. კერესელიძე.

---

*Дозволено цензурою, Тифлисъ 8 января 1874 г.* კერესელიძის სტამბა. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი.